ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3970235

ნომერი: AR1591831

თარიღი : 12.04.2018

გაცემის თარიღი : 29.05.2018

გაცნობის თარიღი : 21.06.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეხილსანერგე მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლია კეიდია პ/ნ 01008022975
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 80ბ

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ლია კეიდია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "გუდაური სქი რესორტ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204576066

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "გუდაური სქი რესორტ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204576066
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი მინაშვილი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01012002972

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2597890
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 17.05.2016

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი, რომელიც წარმოადგენს თქვენი ინტერესის საგანს, ყვება თბილისის ზღვის შემოგარენის განვითარების ტექნიკურ–ეკონომიკური კვლევის არეალში.

მოგახსენებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას დაგეგმილი აქვს თბილისის ზღვის შემოგარენის კვლევა წყალსაცავის სანიტარული დაცვითი ზონების საზღვრების დასადგენად არსებული კანონმდებლობის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #297/ნ ბრძანების შესაბამისად და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

სასმელი წყლის რეზერვუარის დაცვითი ზონების დასადგენად თბილისის ზღვის შემოგარენის კვლევის პროცესი დაიწყო 2018 წლის 25 აპრილიდან, რომლის ვადა განისაზღვრა 4 თვით. საბოლოო დოკუმენტი უნდა მოიცავდეს: მინიმუმ იმ ორი ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანონმდებლობის ანალიზს და დაცვით ღონისძიებებს სადაც განაშენიანება, რეზერვუარის მოცულობა, სასმელი წყლით მოსარგებლე მოსახლეობის ოდენობა თბილისის და თბილისის ზღვის მსგავსია ან სხვა ანალოგებთან შედარებით ყველაზე მეტად შეესაბამება თბილისსა და თბილისის წყალსაცავს ან დაშვებულია მსგავსი განაშენიანება; არსებული რელიეფის ჰორიზონტების და სიმაღლის ნიშნულების (იზოგიფსების) რუკას და საკვლევი არეალის საზღვრებს; რუკას შესაბამისი დაცვითი სარტყელების საზღვრის პირველადი მონიშვნით და სხვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და ასევე კვლევით გათვალისწინებული სხვადასხვა ასპექტების შესწავლა/მოკვლევის საფუძველზე, საბოლოო დოკუმენტის მიღებამდე, რაც გულისხმობს კვლევის შედეგად და ფაქტობრივი სიტუაციის გათვალისწინებით პირველი, მეორე და საჭიროების შემთხვევაში მესამე სანიტარული დაცვის ზონის ზუსტი საზღვრები დადგენას და დაცვითი/ გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს და იმსჯელოს N81.21.02.207 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.